საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030172591984420

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ ****/***********/**** ***

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე ხვთისიაშვილს

ასლი: სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორს,
ბატონ ლევან კარანაძეს

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსულია თქვენი წერილები (N01/8420; N01/8318), რომელიც ეხება 10 მარტს, იტალიის რესპუბლიკიდან საქართველოს მოქალაქეების ევაკუაციის მიზნით დანიშნულ რეისს თბილისი-რომი-თბილისი (ორი რეისი).

მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის No164 განკარგულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, იტალიის რესპუბლიკაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების ეპიდემიოლოგიური სურათის შესაბამისად, 2020 წლის 6 მარტიდან საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკას შორის პირდაპირი საერთაშორისო ფრენების შესრულება დროებით შეწყვეტილია.

თუმცა, ვინაიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც იმყოფებიან იტალიის რესპუბლიკაში და რეისების გაუქმების გამო შეექმნათ საქართველოში წამოსვლის პრობლემა, დაინიშნა ჩარტერული რეისი იმის გათვალისწინებით, რომ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, მოხდება იტალიიდან ტრანსპორტირებული პირების იზოლაცია ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ზემოთხსენებული პირების საჰაერო გზით ტრანსპორტირება იტალიის რესპუბლიკიდან საქართველოში.

ამასთან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრების ინსტრუქციის შესაბამისად მგზავრებისა და ეკიპაჟის ეპიდემიური რისკებისგან დაცვის მიზნით, აუცილებელია ბორტზე იმყოფებოდეს სამედიცინო პერსონალი (ექიმი და ექთანი), რომლებიც ჩაატარებენ გამოფრენამდე მგზავრების სამედიცინო შემოწმებას, კერძოდ თერმულ სკრინინგს და ჩაღრმავებულ ეპიდემიოლოგიურ გამოკითხვას. აღნიშნულმა გუნდმა მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს მგზავრებს ფრენის მთელი პერიოდის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინოს საჭირო სამედიცინო დახმარება.

ასევე აუცილებელია:

1. მგზავრებთან ახლო კონტაქტში მყოფმა ეკიპაჟის წევრებმა გამოიყენონ სამედიცინო ნიღაბი (შეცვლა ყოველ 2 საათში ერთხელ) და ერთჯერადი ხელთათმანები;

2. თუ მგზავრს აღენიშნება რესპირაციული სიმპტომები, გამოიყენოს სამედიცინო ნიღაბი;

3. თუ მგზავრს გამოფრენამდე სამედიცინო შემოწმების დროს აღენიშნება ტემპერატურა, სავალდებულოა იგი მოთავსდეს განცალკევებულ სივრცეში (მაგ. ბიზნეს-კლასში);

4. თვითმფრინავის ბორტზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელის დასამუშავებელი სპირტისშემცველი ხსნარი მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრებისთვის;

5. ბორტზე მგზავრებს შორის აუცილებელია დისტანციის დაცვა 2 მეტრის დაშორებით (მგზავრების განთავსების სქემა იხ. დანართში).

6. ჩამოსვლის შემდეგ მგზავრებმაც და ეკიპაჟის წევრებმაც უნდა გაიარონ სკრინინგის სტანდარტული პროცედურები;

7. ქვეყანაში ჩამოსვლის შემდგომ მგზავრები უნდა მოთავსდნენ 14 დღიან (სავალდებულო) იზოლაციაში.

ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ვინაიდან ამ ეტაპზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამოწურული აქვს იზოლაციისთვის განკუთვნილი ობიექტების რესურსი, ვთანამშრომლობთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არასამედიცინო დაწესებულებებში საიზოლაციო სივრცეების მოძიების საკითხზე.

პატივისცემით,

მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე